ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/12

დაბა ქედა, 8 ნოემბერი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:20 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.
სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/12 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

8 ნოემბერი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომის დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. **მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა იაშა ღოღობერიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: N 12-95243111-95; წერილის თარიღი: 06.11.2024 წელი) და აღნიშნა, რომ დაბა ქედაში, თამარ მეფის ქუჩა № 9 - ში (ს/კ 21.03.35.680) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია სოციალური, 7 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მაგრამ დასახელებული საპროექტო ნაკვეთი არ იძლევა 7 სართულიანი სახლის მშენებლობის შესაძლებლობას და საჭიროა კვლევით დადგენილი სართულიანობის გაზრდა, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას, რომლის საფუძველზეც ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული იქნა სამართლებრივი აქტი (ბრძანება №ბ94.942423431; 21.08.2024 წ. განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე). ასევე ქედის მუნიციოპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ მომზადებული იქნა ტექნიკური დავალება და გაგზავნილი იქნა ინიცირების ავტორთან, რომელმაც უზრუნველყო ქედის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის მოწოდება. აღნიშნული დეტალური გეგმის პროექტი მომზადებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაბამისად, წინასწარ გაწერილი პირობებისა და ვადების დაცვით. წარმოდგენილი მასალები შესათანხმებლად გადაგზავნილი იყო აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში საიდანაც მიღებული არის თანხმობის წერილები.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ იყო საკმარისი 75 კვ.მ. ბინის ფართობი დაზარალებულებისათვის, როდესაც სოფლებში 100-200 კვ.მ. სახლები ჰქონდათ?

მომხსენებელმა განმარტა, ყველა ოჯახი შესწავლილია ადგილზე გასვლით და მაქსიმალური 80 კვ.მ ბინის ფართობი საკმარისია.

საკრებულოს წევრმა ირაკლი მახარაძემ კი აღნიშნა რომ სოციალური სახლის მშენებლობამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრებთა ინტერესები.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს წითელი ზოლიდან რამდენ მეტრში იწყება მშენებლობა და ადგილობრივ მოსახლეობას თუ ექნებოდა საავტომობილო გზა სახლებთან მისასვლელად?

იაშა ღოღობერიძის განმარტებით 15 მეტრი იქნება წითელი ზოლიდან და საავტომობილო გზა პროექტში გათვალისწინებულია.

საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ, აღნიშნა რომ უკეთესი ხომ არ იქნებოდა თემების მიხედვით აშენებულიყო სოციალური სახლები?

მომხსენებლის განმარტებით, რომ არაა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საკმარისი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №8, 08.11.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 11:20 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და
საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**